



ბათუმის უნივერსიტეტი



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბათუმი №9. ნოემბერი. 2014.

უნივერსიტეტის ბაზაზე სასწავლო ცენტრი გაიხსნა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე სამედიცინო კორპორაცია „ევექსის“ ორგანიზებითა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მხარდაჭერით სასწავლო ცენტრი გაიხსნა. სამედიცინო განათლებისა და მედიკოსთა პროფესიული განვითარების ცენტრი სწავლების თანამედროვე მეთოდებით, თეორიული ლექცია—სემინარებისა და პრაქტიკული მეცადინეობის გზით უზრუნველყოფს სტუდენტებისა და სამედიცინო პერსონალის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებზე დაფუძნებულ სწავლებას, უწყვეტ სამედიცინო განათლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას. საერთაშორისო პროფესიულ ასოციაციებსა და ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფარგლებში, სასწავლო ცენტრში ტრენინგებს ჩაატარებენ გამოცდილი ქართველი და უცხოელი ექსპერტები. სწავლება დაეხმარება აჭარის სამედიცინო პერსონალს მსოფლიო მედიცინის უახლესი მიღწევების გაცნობაში.



უზრუნველყოფს აჭარის სამედიცინო პერსონალისთვის უწყვეტ სამედიცინო განათლებას და კვალიფიკაციის ამაღლებას. საერთაშორისო პროფესიულ ასოციაციებსა და ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შედეგად სასწავლო ცენტრში ტრენინგებს ჩაატარებენ გამოცდილი ქართველი და მონღოლური უცხოელი ექსპერტები, რაც განაპირობებს აჭარის სამედიცინო პერსონალის მუდმივ წვდომას მსოფლიო მედიცინის უახლეს და თანამედროვე მიღწევებზე.

სამედიცინო განათლებისა და მედიკოსთა პროფესიული განვითარების ცენტრი სწავლების თანამედროვე მეთოდებით, თეორიული ლექცია—სემინარებისა და პრაქტიკული მეცადინეობის გზით უზრუნველყოფს სამედიცინო პერსონალის პრაქტიკულ უნარჩვევებზე დაფუძნებულ სწავლებას. სასწავლო ცენტრი განთავსებულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში. ეგნატე ნინოშვილის ქ. 35, ბათუმი, აჭარა.

საგამოსლოცო ცენტრის მუშაობა მუშაობის ბათუმი — გვ. 2

ნიკო ბარძენიშვილის ინსტიტუტის საინჟინერო 2013 წლის მუშაობა მუშაობის ბათუმი — გვ. 3

აკადემიკოს ბიორბი ჭოლოშვილის ღვაწლი ბათუმის უნივერსიტეტში ტოპოლოგიის განვითარებაში
(აკად. გ. ჭოლოშვილის დაბადებიდან მე-100 წლისთავს)
„აკად. გ. ჭოლოშვილმა საფუძველი ჩაუყარა აქტიურ სამეცნიერო ურთიერთობას ბათუმის უნივერსიტეტის მათემატიკის კათედრას, თბილისის უნივერსიტეტის ალგებრა-გეომეტრიის კათედრასა და მათემატიკის ინსტიტუტის ალგებრა-გეომეტრიის განყოფილებას შორის. ბათუმელ ტოპოლოგებს ხშირად იწვევდა სპეციალური კურსების წასაკითხად მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის ალგებრა-გეომეტრიის კათედრაზე, ასევე მის თანამშრომლებს მოუწოდებდა ეთანამშრომლათ ბათუმელ მათემატიკოსებთან. ბატონ გიორგის ამ ინიციატივას დიდი მხარდაჭერა ჰქონდა თბილისის და ბათუმის უნივერსიტეტების რექტორებისაგან (აკად. ნ. ამაღლობელი, აკად. რ.მეტრეველი, აკად. წევრკორ. დ. ბალაძე, პროფ. ა. ახვლედიანი, პროფ. ნ. ვერძაძე). მათი გადაწყვეტილების შემდეგ პროფ. ვ. ბალაძეს მიეცა საშუალება 15 წლის განმავლობაში (1991—2005წწ.) ემუშავა პროფესორის სრულ განაკვეთზე ბათუმსა და თბილისში და წაეყვანა ტოპოლოგიის კურსები ორივე უნივერსიტეტში“. — გვ. 6-7

მეხვედრა სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში



ევროკავშირის წარმომადგენელი საქართველოში ხოან ეჩანოვი, აჭარის ა.რ. სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაურ ფუტყარძე, აგროსერვის ცენტრის დირექტორი გოჩა ბერიძე, გაეროს განვითარების პროგრამის ეკონომიკური გუნდის ხელმძღვანელი გიორგი ნანობაშვილი და პროექტის „ENPAღD აჯარა“ მენეჯერი ლაშა კომახიძე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვივნენ. უნივერსიტეტის რექტორთან, პროფესორ ალიოზა ბაკურიძესთან, ტექნოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან გამართულ შეხვედრაზე დაიგეგმა აგრარული მიმართულების სტუდენტების სტაჟირება, გაცვლითი პროგრამების განხორციელება და ერთობლივი კვლევების წარმოება. სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას საჩუქრად სასოფლო-სამეურნეო მიმართულების ლიტერატურა გადაეცა.

სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის ეკონომიკური გუნდის ხელმძღვანელი გიორგი ნანობაშვილი და პროექტის „ENPAღD აჯარა“ მენეჯერი ლაშა კომახიძე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვივნენ. უნივერსიტეტის რექტორთან, პროფესორ ალიოზა ბაკურიძესთან, ტექნოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან გამართულ შეხვედრაზე დაიგეგმა აგრარული მიმართულების სტუდენტების სტაჟირება, გაცვლითი პროგრამების განხორციელება და ერთობლივი კვლევების წარმოება. სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას საჩუქრად სასოფლო-სამეურნეო მიმართულების ლიტერატურა გადაეცა.

ქართველოლოგიის ცენტრის XI სამეცნიერო ჯონფარანსია

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის „კლარჯეთი“ (საგრანტო პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი პროფესორი მამია ფაღავა, მენეჯერი - პროფესორი მალხაზ ჩოხარაძე) ფარგლებში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის XI სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესორ-მასწავლებლებმა, მკვლევარებმა და დოქტორანტებმა სესიაზე აგვისტოში, ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში წარმოებული ათდიანი ექსპედიციის შედეგები შეაჯამეს. კლარჯეთის სოფლებში მოპოვებული ფოტოლოგიური, დიამასტიკური და მატერიალური კულტურის ძეგლების ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალები სამეცნიერო მიმოქცევაში სათანადო დამუშავების შემდეგ შევა და გამოყენებული იქნება კომპლექსურ მონოგრაფიაში „კლარჯეთი“.

სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის ეკონომიკური გუნდის ხელმძღვანელი გიორგი ნანობაშვილი და პროექტის „ENPAღD აჯარა“ მენეჯერი ლაშა კომახიძე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვივნენ. უნივერსიტეტის რექტორთან, პროფესორ ალიოზა ბაკურიძესთან, ტექნოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან გამართულ შეხვედრაზე დაიგეგმა აგრარული მიმართულების სტუდენტების სტაჟირება, გაცვლითი პროგრამების განხორციელება და ერთობლივი კვლევების წარმოება. სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას საჩუქრად სასოფლო-სამეურნეო მიმართულების ლიტერატურა გადაეცა.



ღვაწლი ბიორბი ჭოლოშვილის ღვაწლი ბათუმის უნივერსიტეტში ტოპოლოგიის განვითარებაში
(აკად. გ. ჭოლოშვილის დაბადებიდან მე-100 წლისთავს)
„აკად. გ. ჭოლოშვილმა საფუძველი ჩაუყარა აქტიურ სამეცნიერო ურთიერთობას ბათუმის უნივერსიტეტის მათემატიკის კათედრას, თბილისის უნივერსიტეტის ალგებრა-გეომეტრიის კათედრასა და მათემატიკის ინსტიტუტის ალგებრა-გეომეტრიის განყოფილებას შორის. ბათუმელ ტოპოლოგებს ხშირად იწვევდა სპეციალური კურსების წასაკითხად მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის ალგებრა-გეომეტრიის კათედრაზე, ასევე მის თანამშრომლებს მოუწოდებდა ეთანამშრომლათ ბათუმელ მათემატიკოსებთან. ბატონ გიორგის ამ ინიციატივას დიდი მხარდაჭერა ჰქონდა თბილისის და ბათუმის უნივერსიტეტების რექტორებისაგან (აკად. ნ. ამაღლობელი, აკად. რ.მეტრეველი, აკად. წევრკორ. დ. ბალაძე, პროფ. ა. ახვლედიანი, პროფ. ნ. ვერძაძე). მათი გადაწყვეტილების შემდეგ პროფ. ვ. ბალაძეს მიეცა საშუალება 15 წლის განმავლობაში (1991—2005წწ.) ემუშავა პროფესორის სრულ განაკვეთზე ბათუმსა და თბილისში და წაეყვანა ტოპოლოგიის კურსები ორივე უნივერსიტეტში“. — გვ. 6-7

ქალბატონი ირინე ბოშხათელიანი იუბილარია — გვ. 9
მალხაზ ჩოხარაძე — 50 — გვ. 10

ნარინჯისფერი რთველი აჭარაში — გვ. 11



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის 2013 წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საექსპერტო კომისიამ უმაღლეს დონეზე შეაფასა. ეს დასკვნა აკადემიის საექსპერტო კომისიამ, რომელსაც ხელს აწერს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი გურამ ლორთქიფანიძე, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მიერ აკადემიაში წარდგენილი 2013 წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ანგარიშის საფუძველზე გააკეთა. საექსპერტო დასკვნაში ვკითხულობთ: „წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს უმაღლეს შეფასებას, რადგან აკმაყოფილებს აკადემიის მიერ შემუშავებული ექსპერტიზის დებულების მე-9 პუნქტში ჩამოთვლილ ძირითად კრიტერიუმებს“.

საექსპერტო დასკვნაში აღნიშნულია, რომ 2013 წელი ინსტიტუტისათვის საიუბილეო წელი იყო (მას ამ წელს დაარსების 55 წლისთავი შეუსრულდა), რომელიც მაღალ მეცნიერულ დონეზე ჩატარდა. საიუბილეო სხდომა გაიმართა უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში 2013 წლის 2 დეკემბერს. სხდომა გახსნა და მის მონაწილეებს შესავალი სიტყვით მიმართა უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ალიომა ბაკურიძემ.

სხდომას აჭარისა და ქალაქ ბათუმის ფართო წარმომადგენლობა ესწრებოდა. სხდომაზე ჩამოვიდნენ და მისასაღამებელი სიტყვებით გამოვიდნენ მეცნიერებისა და კულტურის წარმომადგენლები: თბილისიდან, ქუთაისიდან, თურქეთიდან. სხდო-

მის სხვა დარგების გეგმაზომიერი, პრობლემური მეცნიერული შესწავლის საქმეში.

საექსპერტო დასკვნაში განალიზებულია ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მთავარ, უფროს და მეცნიერ თანამშრომელთა მიერ 2013 წელს გაწეული სამეცნიერო კვლევა-ძიების ძირითადი შედეგები. მათ შორის ერთ-ერთი უმთავრესია ის, რომ 2013 წელს დაიწყო აჭარის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების (მუნიციპალიტეტების) კომპლექსური ისტორიულ-არქეოლოგიური, ეთნოლოგიური, ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური და სხვა მიმართულებით მეცნიერული მონოგრაფიული შესწავლა. 2013 წელს ამ ჭრილში შესწავლილია ხულოს მუნიციპალიტეტი, რომელიც მონოგრაფიის სახით გამომცემლობას გადაეცემა წლის ბოლოს. მომდევნო წლებში (2017 წლის ჩათვლით) შე-

დაქტორები: ნოდარ კახიძე, რომინ მალაყმაძე, ნანული ნოლაიძე, ბიჭიკო დიასამიძე, შუშანა ფუტკარაძე, რომელშიც გაცოცხლებულია 1958 წელს ზემო აჭარაში 116 ავტორ—მთქმელისაგან შეკრებილი ფოლკლორულ—დიალექტოლოგიური და სხვა სახის მასალები. გამომცემლობას მალე გადაეცემა „აჭარული საუნჯის“ მეორე ტომი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების მასალებს ეძღვნება წიგნები: „ბათუმი. წარსული და თანამედროვეობა. IV (მთავარი რედაქტორი ბიჭიკო დიასამიძე, პასუხისმგებელი რედაქტორი ოლეგ ჯიბაშვილი), „ჩვენი სულიერების ბალავარი. VI“ (მთავარი

რედაქტორი ბიჭიკო დიასამიძე, პასუხისმგებელი რედაქტორი ოლეგ ჯიბაშვილი).

ინსტიტუტის თუ სხვა გამოცემებში 2013 წელს ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომლებმა სულ გამოაქვეყნეს 45 სამეცნიერო ნაშრომი (სტატია), მონაწილეობა მიიღეს 30—მდე საერთაშორისო თუ რესპუბლიკურ კონფერენციაზე, რომლებიც ჩატარდა ბათუმსა და თბილისში. ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის 2013 წლის სამეცნიერო საქმიანობაში ყველაზე დიდი წარმატება ის იყო, რომ მეცნიერთანამშრომელთა ჯგუფმა შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის ხაზით მოიპოვა სამწლიანი გრანტი პროექტზე „სტამბოლის ქართული სავანეს ეპისტოლური მემკვიდრეობა“ (პროექტის ხელმძღვანელია პროფესორი შუშანა ფუტკარაძე, მენეჯერი—ისტ. აკად. დოქტორი რომინ მალაყმაძე, შემსრულებლები: მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი ელზა ფუტკარაძე, უფროსი მეცნიერ-თანამშრომლები: ნაილა ჩელევაძე, თამილა ლომთათიძე. გრანტში კონსულტანტად მინვეული არიან ისტ. მეცნ. დოქტორები ბიჭიკო დიასამიძე და ნოდარ კახიძე). მეტად დასაფასებელია ის ნაყოფიერი მუშაობა, რომელსაც სტამბოლის მდიდარი ქართული სავა-



ნიხო ბერძენიშვილის ინსტიტუტის საიუბილეო 2013 წლის მუშაობა უმაღლეს დონეზე შეფასდა

ვისწავლით აჭარის სხვა მუნიციპალიტეტებს (შუახევი, ქედა, ხელვაჩაური, ქობულეთი).

როგორც საექსპერტო დასკვნაშია მითითებული, მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა 2013 წელი ინსტიტუტისათვის საგამომცემლო საქმეში. გამოქვეყნდა მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის, ისტ. მეცნ. დოქტორის ნოდარ კა-

გრანტის, არამედ სხვა სახითაც გვემავს მუშაობას სტამბოლის ქართული სავანეს ბიბლიოთეკაში დაცული ქართული ეროვნული მეცნიერული მემკვიდრეობის შესწავლისათვის, რომელიც ფართო მასშტაბით დღემდე არ განხორციელებულა. ამ მიზნით ინსტიტუტის ფოლკლორისა და დიალექტოლოგიის განყოფილებას დაემატა ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის მიმართულება.


საქსპერტო დასკვნაში აისახა ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის, ისტორიის დოქტორის რუსლან ბარამიძის მონაწილეობა უნივერსიტეტის ქართველოლოგიური კვლევის ცენტრის მიერ მოპოვებულ გრანტში („მუჰაჯირობის (გადასახლების ისტორია და ქართველ მუჰაჯირობა შთამომავლები თანამედროვე თურქეთში“), რომელსაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა აფინანსებს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საექსპერტო დასკვნაში ბუნებრივია, დეტალურად ვერ აისახებოდა ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის 2013 წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ყველა ასპექტი. ასეთები კი ინსტიტუტის სამეც-

ქართველოს ისტორიის ნარკვევების აჭარის ოთხტომეულის მეოთხე ტომის პრეზენტაცია, რომელსაც ბათუმელ მეცნიერებთან ერთად თბილისში მომუშავე მეცნიერ-ისტორიკოსები და მეცნიერების სხვა დარგის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. პრეზენტაციაზე ნარკვევების IV ტომმა, ისე როგორც საერთოდ ოთხტომეულმა, მაღალი შეფასება დაიმსახურა. ამჯერადაც, მეორედ დაისვა საკითხი აჭარის ისტორიის ნარკვევების საქართველოს სახელმწიფო პრემიაზე წარდგენის შესახებ. ამ საკითხზე დოკუმენტებს უკვე ამზადებენ გახსნილ შედეგები 2013 წლის პირველ აპრილს გაშუქდა საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზიით. სამჯერ ჩატარდა 2013 წელს გამომცემული „აჭარის საუნჯის“ პირველი წიგნის პრეზენტაცია. პირველად იგი ხულოს რაიონულ ცენტრში გაიმართა, მეორედ სხალთასა და ხიხაძირში, მესამედ—შუახევის რაიონულ ცენტრში მოეწყო. აღნიშნული სოფლები პრეზენტაციების ადგილად იმითომაც შეარჩიეს, რომ სწორედ აქ არის ჩანერილი 1958 წელს ის ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური და სხვა სახის ნიმუშები, რომლებიც წიგნშია შესული. პრეზენტაციის მონაწილეებს წიგნები საჩუქრების სახითაც გადაეცაო. ასეთი პრეზენტაციები „საუნჯის“ დანარჩენ გამოცემებზეც გაიმართება.

ინსტიტუტის 2013 წლის სამეცნიერო საქმიანობაში ერთ-ერთი მთავარი მიღწევა იყო კომპლექსური ექსპერტიზის ჩატარება შვედეთ-იმერხევის სოფლებში ეთნოლოგების, ფოლკლორისტიკოსისა და ისტორიკოსების მონაწილეობით. ექსპერტიზის შედეგებზე საუბრები გადაიცა აჭარის ტელევიზიით (2013 წლის სექტემბერი).

2013 წელს მომზადდა და ნარკვევები იქნა სამი სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი: „სახალხო გმირი სელიმ ხიმშიაშვილი“, „სო-



მას მიესალმნენ ბათუმში მოღვაწე მეცნიერებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლები, სხვა პირები.

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტმა, რომელიც სამართალმემკვიდრეა 1958 წელს დაარსებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა (2006 წლამდე იგი აკადემიის სისტემაში შედიოდა, 2006—2010 წლამდე — საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, ხოლო 2011 წლიდან დღემდე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაქვემდებარებაშია) არსებობის 55 წლის მანძილზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა და ასრულებს დღესაც აჭარისა და მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, ასევე მისი მეზობელი რეგიონების ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის (ეთნოლოგიის), ფოლკლორისა და დიალექტოლოგიის, ეკონომიკური, სოციოლოგიური და მეცნიერე-

ხიძის, უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის, ისტ. აკად. დოქტორის სიმონ გოგიტიძის, მეცნიერ-თანამშრომლის ნანული ნოლაიძე-ლის წიგნები: „ეტრატზე ამტყველებული ისტორია“ (ტბეთის სულთა მატთანე (XII—XVII საუკუნეები) სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-ეთნოლოგიური შესწავლის წყარო“), „დიდაჭარა“ (I—II საუკუნეები)“, „ლექსიკური ძიებანი (აჭარული დიალექტის ლექსიკური მასალების მიხედვით“, მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის, ისტ. აკად. დოქტორის უჩა ოქროპირიძისა და უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის, ისტ. აკად. დოქტორის ოლეგ ჯიბაშვილის ერთობლივი ნაშრომი ფოტოალბომის სახით, რომელშიც ასახულია აჭარის წვლილი ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში (1988—1993 წლები). აღსანიშნავია 670 გვერდიანი ნაშრომის „აჭარული საუნჯე. I“ გამოცემა (მთავარი რედაქტორი პროფესორი ალიომა ბაკურიძე, რე-





(დასაწყისი მე-3 გვერდზე)

ფელი — ჩვენი იმედი და საფიქრალი (სოფელი კვიახიძეები, „სხალთა-ხიხანის ხეობის ისტორიული ძეგლები“, რომელთა ავტორია სპეციალისტი გივი ნახუცრიშვილი.

ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომლებმა (შუშანა ფუტყარაძე, ელზა ფუტყარაძე, ნოდარ კახიძე, როინ მალაყმაძე) სამეცნიერო კვლევა-ძიების სხვადასხვა საკითხებზე დაბეჭდეს წერილები გაზეთ „ბათუმის უნივერსიტეტში“.

საექსპერტო დასკვნისა და ინსტიტუტის 2013 წლის სამეცნიერო

ნიხო ბერძენიშვილის ინსტიტუტის საიუბილეო 2013 წლის მუშაობა უმაღლეს დონეზე შეფასდა

რო მუშაობის შედეგების განხილვას მიეძღვნა საგანგებო შეხვედრა, რომელიც უნივერსიტეტის აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების სხდომათა დარბაზში გაიმართა 2014 წლის 4 აგვისტოს. შეხვედრა გახსნა და საექსპერტო დასკვნისა და ინსტიტუტის 2013 წლის მუშაობის შედეგებზე ისაუბრა უნივერსიტეტის პრორექტორმა, პროფესორმა ნათია წიკლაშვილმა. მან დადებითად შეაფასა ინსტიტუტის მიერ 2013 წელს განხორციელებული მუშაობა და წარმატებები უსურვა ინსტიტუტის კოლექტივს შემდგომ საქმიანობაში.

შეხვედრაზე სიტყვებით გამოვიდნენ და ინსტიტუტის სადღესო და მომავალ საქმიანობაზე ისაუბრეს ინსტიტუტის დირექტორმა, ისტ. აკად. დოქტორმა როინ მალაყმაძემ, მთავარმა მეცნიერ-თანამშრომლებმა, პროფესორმა ბიჭიკო დიასამიძემ, ისტ. აკად. დოქტორმა უჩა ოქროპირიძემ და სხვებმა.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საექსპერტო დასკვნა, რომელიც ინსტიტუტის 2013 წლის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ანგარიშის (34 კომპიუტერული გვერდი) საფუძველზე შედგენილი, ამ მუშაობის უმაღლესი შეფასებაა. ასეთი შეფასებით აღინიშნა ინსტიტუტის წინა წლების სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგები. 2008 წელს გამოცემული ნაშრომების შეფასების შედეგად კი, ინსტიტუტმა მეორე ადგილი დაიკავა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის



სისტემაში შემავალ ყოფილ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტება შორის. ეს კი იმის დასტურია, რომ ინსტიტუტმა თავისი არსებობის ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე წარმატებით გაართვა თავი აჭარისა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მეზობელი ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონების მეცნიერული პრობლემების შესწავლის საქმეს.

ნიხო ბერძენიშვილის ინსტიტუტი კვლავაც მოწოდების სიმალლეზე იქნება და წარმატებითაც გაართმევს თავს მის წინაშე დასმული ახალი მეცნიერული პრობლემების კვლევას.

ნოდარ კახიძე — ნიხო ბერძენიშვილის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, ისტ. მეცნ. დოქტორი



წმიდა მღვდელმთავარი ალექსანდრე - 190

2014 წლის 21 ნოემბერს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში წმიდა მღვდელმთავარ ალექსანდრეს დაბადებიდან 190 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო სამეცნიერო სესია გაიმართა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მკვლევრებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა კონფერენციაზე მოხსენებები წარმოადგინეს წმინდანის ცხოვრებაზე, მოღვაწეობა-

ალექსანდრემ აღმშენებლობითი საქმე აფხაზეთიდან დაიწყო - სოხუმში თავისი ღვაწლითა და საფასით აღადგინა ორი ეკლესია, ქართლ-კახეთსა და შემდეგ გურია-სამეგრელოში მოღვაწეობისას განაახლა და აღაშენა შიომღვიმის, ზედაზნის, დავით გარეჯის მონასტრები, დიდალი თანხა გაიღო შემოქმედის მონასტრის აღდგენის დასაწყებად, აღადგინა და განაახლა მცხეთის ჯვრის მო-

ტონმა ირაკლი ბარამიძემ გახსნა, ხოლო აუდიტორიის წინაშე მოხსენებით წარსდგინენ შემდეგი გამოშვებულები:

1. უჩა ოქროპირიძე — ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი (წმინდა მღვდელმთავარ ალექსანდრეს ცხოვრება და მოღვაწეობა);
2. ბიჭიკო დიასამიძე — ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი („წმ. მღვდელმთავარი ალექსანდრე და აფხაზეთი“);
3. ოთარ გოგოლიშვილი — უნივერსიტეტის სრული პროფესორი („სამშობლო უმთავრესია, რადგან იგი წმინდა არის“);
4. ოლეგ ჯიბაშვილი — ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი („წმ. მღვდელმთავარი ალექსანდრე და მისი საგალობლები“);
5. ელზა ბასილაძე — სტუდენტი („საქართველოს მანათობელი ვარსკვლავი“);
6. ლია ოქროპირიძე — გორის სტალინის სახლ-მუზეუმის დირექტორი, წმ. მღვდელმთავარ ალექსანდრეს შთამომავალი („მოგონებები“).

წმინდა მღვდელმთავარ ალექსანდრეს 190 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო სამეცნიერო სესია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ, ბა-



სა და ღვანლზე. მღვდელმთავრის ხანგრძლივი მოღვაწეობისას საქართველოში არ დაწყებულა არც ერთი სარწმუნოებრივი და ეროვნული საქმე მისი თანადგომისა და მონაწილეობის გარეშე. წმინდანმა განსაკუთრებული ღვაწლი დასდო ეკლესია-მონასტრების აღდგენა-განახლების საქმეს. მისი ფინანსური დახმარებით 1878 წელს თბილისში დაარსდა ეპარქალური ქალთა სასწავლებელი. წმიდა ალექსანდრეს ინიციატივითა და რეკომენდაციით დაიბეჭდა მრავალი სასულიერო და ისტორიული წიგნი, სახელმძღვანელო და საგალობლების კრებული. წმინდა ალექსანდრე თავგამოდებული დამცველი იყო ქართული ენისა, ერთ-ერთმა პირველმა გაილაშქრა სამეგრელოს სამრევლო სკოლებში ქართული ენის სწავლების დასაცავად.



წმიდა მღვდელმთავარმა

დისკუსია თემაზე: „2007 წლის 8 ნოემბერი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დარბაზი“


ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში დამოუკიდებელი სტუდენტური მოძრაობა „ალტერნატივა“-ს ორგანიზებით სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები და საზოგადოების წარმომადგენლები შეიკრიბნენ. შეხვედრაზე სტუდენტური მოძრაობის წევრებმა 2007 წლის 8 ნოემბერს, უნივერსიტე-



ტის დარბევის ამსახველი ვიდეო კადრები წარმოადგინეს და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში განვითარებული მოვლენები გაიხსენეს. ახალგაზრდებმა აკადემიურ პერსონალთან ერთად სპეცრაზმელების მიერ სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების დარბევის ფაქტები დაგმეს, სასამართლოში სარჩელის შესატან აუცილებელ პროცედურებზე იმსჯელეს და დამნაშავეთა გამოვლენა მოითხოვეს.

ციალა ბაქანიძის წიგნის „ზენდიდის ციხე“ წარღვინაა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოლოგიის დეპარტამენტის, სტუდენტთა მხარდაჭერის და მომსახურების სამსახურისა და სტუდენტთა სამეცნიერო ცენტრის ერთობლივი პროექტის „მოგზაურობა საქართველოს ისტორიულ რუკაზე“ ფარგლებში, ზენდიდის ციხის ნანგრევებთან ციალა ბუჟანიძის წიგნის „ზენდიდის ციხე“ წარდგინება ჩატარდა. წიგნი ბუჟანიძეთა გვარსა და მათ საგვარეულო ციხეს ეძღვნება. ისტორიულ წყაროებსა და დოკუმენტებზე დაყრდნობით ნაშრომში აღწერილია გვარის ისტორია, ეტიმოლოგია და აჭარის ერისთავ-ერისთავი აბუსერიძეების საგვარეულო.





სტუდენტური თვითმმართველობა



ხუთი თვის წინ, ზურაბი მესხიძე იტალიიდან ჩამოვიდა და იგი კვლავ თვითმმართველობის თავმჯდომარის თანამდებობას დაუბრუნდა.

თვითმმართველობის როლს უნივერსიტეტში **ზურაბ მესხიძე** შემდეგნაირად განსაზღვრავს:

- 1. უნივერსიტეტის მართვაში სტუდენტთა ჩართულობის უზრუნველყოფა;
- 2. სტუდენტური ცხოვრების გაუმჯობესება;
- 3. სტუდენტების შუამდგომლობა ადმინისტრაციასთან და მათი სამართლებრივი უფლებების დაცვა;
- 4. სტუდენტური თვითმმართველობა სტუდენტებსა და ადმინისტრაციას შორის მარეგულირებელი ორგანოა, მაგრამ ამავე დროს, სტუდენტებისგან ვალდებულება აქვს აღებული, რომ მათი სტუდენტური ცხოვრება უფრო გაახალისოს და ინტელექტუალურ მხარესაც შეუწყოს ხელი. ვფიქრობ სტუდენტური თვითმმართველო-

ჩატარებული უამრავი ღონისძიება: დაისვენე ინტელექტუალურად ბათუმში ბსუ-სთან ერთად; ყოველკვირეული ინტელექტუალური თამაშები „რა? სად? როდის?“.

ასევე აღნიშნავს სხვადასხვა



საქველმოქმედო აქციას, როგორცაა საქველმოქმედო ფონდ „კეთილსოფლის“ დახმარება; აქცია „Yes we can“.

რაგბეთა, მოკრივეთა და საფეხბურთო გუნდები. ჩამოყალიბების პროცესშია სტუდენტური კლუბები: „რა? სად? როდის?“, მხიარულთა და საზრიანთა კლუბი; კინოს, მუსიკის, ჭადრაკის, სადებატო, მკლავჭიდის, ლიტერატურული, ხატვის კლუბები.

თვითმმართველობის ორგანიზებით ტარდება ყოველ პარასკევს სემინარები ფემინიზმზე, სტუდენტური საკუბო სადამოებო. აღსანიშნავია მემორანდუმები „ელსა ბათუმსა“ და იუსტიციის ლიდერთა სახლთან, ასევე ფორუმები „გენდერული თანასწორობა“ და „ევროინტეგრაცია და გააზრებული არჩევანი“.

ზურაბი დიდი სიხარულით აღნიშნავს პირველკურსელთა აქტიურობას და სიამაყით წარადგენს მათ მიერ განხორციელებულ პროექტებს: „ჩიტყ გამე“; ესეების კონკურსი „სწავლა



სიკვდიმდე შენია“; ფილმების კონკურსი; პოეზიის საღამო ქვიშის პოეტებთან ერთად; ფუტსალი.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, ზურაბის პასუხი შემდეგია: „მზად ვარ ნებისმიერ სტუდენტთან თანამშრომლობისთვის, ვგეგმავთ ბევრ შემეცნებით, გასართობ და სპორტულ ღონისძიებას, რაღა თქმა უნდა, ისევ და ისევ სტუდენტების იდეებით და მათი დახმარებით.“

ნების შემდეგ ყველაზე დიდ წარმატებად სწორედ გამჭირვალობას და თვითმმართველობის კაბინეტის ღია კარებს ვთვლი როგორც პირდაპირი, ასევე გადატანილი მნიშვნელობით. ბევრი დღემდე ფიქრობს, რომ თვითმმართველობა ჩაკეტილი, ერთი სამეგობრო წრის მიერ შექმნილი ორგანოა, თუმცა ერთხელ მე-18 კაბინეტში შემოსვლა და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს წარმოდგენა 100% შე-



„ვფიქრობ, რომ თვითმმართველობა სრულიად გამჭირვალედ მუშაობს და თითოეული ჩვენი უკვე გადადგმული თუ დაგეგმილი ნაბიჯი ყველა სტუდენტისთვის ცნობილია. არჩევ-

გეცვლებათ. მართალია, ჩვენ ვართ გუნდი, რომელიც მეგობრობის საფუძველზე აგებული და ამიტომაცაა, რომ თითოეული ჩვენგანი ერთმანეთს ენდობა. მე ყოველთვის ვამბობ, ჩვენ ვართ ერთი გუნდი და ეს გუნდი აკეთებს საქმეს და არავითარ შემთხვევაში ერთი გარკვეული პიროვნება, ჩვენი წარმატება მთლიანი გუნდის დამსახურებაა და არა მხოლოდ ჩემი. ჩვენ კარგად გვაქვს გააზრებული, რომ ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი და თვითმმართველობის მუშაობის სტრუქტურა ბოლომდე ჩამოყალიბებული ვერ არის, თუმცა სწორედ ეს გუნდი, რომლითაც წარმომადგენელი ვარ მე, ვეცდებით, რომ სტუდენტური თვითმმართველობა იყოს ყველაზე მუშა, უშუალო და მიზანზე ორიენტირებული ორგანო.“

იანა ვარდანიძე



ბის არსებობა აუცილებელი პირობაა უნივერსიტეტში;

ზურაბი თავისი პრეზიდენტობის მცირე პერიოდში განხორციელებულ რამდენიმე პროექტს გამოყოფს. მისთვის, როგორც პრეზიდენტისთვის და თვითმმართველობის თითოეული წევრისთვის საამაყო ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“ და მის ირგვლივ

როგორც ზემოთ აღნიშნა. თვითმმართველობის პრიორიტეტს სტუდენტის ინტერესები წარმოადგენს. სწორედ ამის საფუძველზე მოენყო შეხვედრა ბსუ-ს რექტორ ბატონ ალექო ბაკურიძესთან, სადაც მოისმინეს სტუდენტთა პრეტენზიები სწავლის ხარისხთან დაკავშირებით.

აქტუალური საპროტესტო





ახალგაზრდა გიორგი ჭოლოშვილის ღვაწლი ბათუმის უნივერსიტეტში ბოლოვების განვითარებაში

(აქად. გ. ჭოლოშვილის დაბადებიდან მე-100 წლისთავს)

ცნობილი ქართველი მათემატიკოსის, აკადემიკოს გიორგი ჭოლოშვილის დაბადებიდან მე-100 წელი შესრულდა. ქართული მათემატიკური სკოლის მესაძირკვლებთან ერთად მას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის საქართველოში მათემატიკის განვითარებაში.



გ.ჭოლოშვილი დაიბადა 1914 წელს საჩხერეში, ცნობილი ექიმის სევერიანე ჭოლოშვილის ოჯახში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გ. ჭოლოშვილი 1931 წელს სწავლის გასაგრძელებლად გადავიდა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სტუდენტობის წლებში განზომილების თეორიაში და მორსის თეორიაში შესრულებულმა შრომებმა მიიპყრო მსოფლიოს ცნობილ მათემატიკოსთა ყურადღება. ეს შედეგები აისახა მის მიერ 1939 წელს დაცულ საკანდიდატო დისერტაციაში.

მოსკოვში სამუშაოდ დატოვებული გ. ჭოლოშვილი 1940 წელს ბრუნდება საქართველოში და მუშაობას იწყებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და თბილისის მათემატიკის ინსტიტუტში, სადაც აქტიურად შეუდგა საქართველოში აბსტრაქტული მათემატიკის განვითარებას.

ბატონი გიორგი ომის მძიმე წლებში ლექციების კურსებს კითხულობდა საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში და მუშაობდა ზოგადტოპოლოგიურ სივრცეთა ჰომოლოგიის თეორიისა და არაჩაკეტილ სიმრავლეთა ორადობის თეორიისადმი მიძღვნილ სადოქტორო დისერტაციაზე. დისერტაციაში მიღებული შედეგებმა უდიდესი ზეგავლენა მოახდინა ტოპოლოგიის შემდგომ განვითარებაზე და მათემატიკოსებს მისცა ტოპოლოგიურ სივრცეთა თვისებების შესწავლის მძლავრი მეთოდები.

ომის პერიოდში არსებული რთული მდგომარეობის გამო იგი მოგვიანებით, 1946 წელს, მოსკოვის სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში იცავს სადოქტორო დისერტაციას, რომლის ოპონენტები გახლდნენ მე-20 საუკუნის უდიდესი მათემატიკოსები პ. ალექსანდროვი, ა. კოლომოგოროვი და ლ. პონტრიაგინი.

გ. ჭოლოშვილის მცდელობით

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის საგანმანათლებლო პროგრამებში შევიდა სავალდებულო საგანი "ტოპოლოგიისა და ალგებრის ძირითადი სტრუქტურები", რომელსაც იგი კითხულობდა უცვლელად წლების განმავლობაში. შემდეგში, ბატონ გიორგის გადამწყვეტილებით, ამ კურსის ნაკითხვა დაევალა პროფ. ვ. ბალაძეს.

გთავაზობთ აკად. გ. ჭოლოშვილის დაბადებიდან მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილ პროფ. ვ. ბალაძის წერილს.

ქართულმა ტოპოლოგიურმა სკოლამ, რომლის ფუძემდებელია აკადემიკოსი გიორგი ჭოლოშვილი, განვითარების დიდი და საინტერესო გზა განვლო. ტოპოლოგიისა და ჰომოლოგიური ალგებრის მკვლევარ ქართველ მათემატიკოსთა სხვადასხვა თაობამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქვეყნოდ აღიარებული, კლასიკური მათემატიკის ბრწყინვალე ტრადიციების მქონე, ქართული მათემატიკური სკოლის შემდგომ განვითარებაში.

ქართული ტოპოლოგიური სკოლის ისტორიის ფურცლებს ამშვენებს ქვეყნის სხვადასხვა მათემატიკური ცენტრების, მათ შორის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ტოპოლოგიური მათემატიკოსთა მიღწევები.

თანამედროვე მათემატიკური კვლევების ბათუმში დაწყება და მიმდინარეობა უკავშირდება მათემატიკის კათედრას და მის ბაზაზე დაარსებულ მათემატიკის დეპარტამენტს.

მათემატიკის დეპარტამენტი, რომელშიც მოქმედებს სამი მიმართულება (გეომეტრია-ტოპოლოგია, ალგებრა-რიცხვთა თეორია, მათემატიკური ანალიზი-ალბათობის თეორია) სამეცნიერო მუშაობას აწარმოებს ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკური საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად და ახორციელებს მათემატიკის სწავლებას, როგორც ამ, ისე სხვა, საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამებში.

ბათუმში მათემატიკის განვითარებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა მათემატიკის კათედრისა და დეპარტამენტის თანამშრომლობამ ჩვენი ქვეყნის ცნობილ მათემატიკურ ცენტრებთან. ნაყოფიერი გამოდგა ბათუმელი მათემატიკოსების თანამშრომლობა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ანდრია რაზმაძის სახელობის თბილისის მათემატიკის ინსტიტუტის მათემატიკოსებთან.

მათემატიკის დეპარტამენტის გეომეტრია-ტოპოლოგიის მიმართულებას მიჰყავს ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სალექციო კურსები და სამეცნიერო კვლევები ტოპოლოგიის სხვადასხვა დარგში.

დღეს, ბათუმი სავსებით სამართლიანად ითვლება ერთ-ერთ ცნობილ ტოპოლოგიურ ცენტრად. მის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით სხვადასხვა ქართული ტოპოლოგიური სამეცნიერო ცენტრების მათემატიკოსებს (ნ.ბერიკაშვილი, ბ.დვალისვილი, ლ.ზამბახიძე, ხ.ინასარიძე, ლ.მძინარიშვილი, ი.სანებლიძე, ვ.ტარიელაძე, თ.ქაღვიძიანი, გ. ჭოლოშვილი, გ.ხიმშიაშვილი, გ.ჯანელიძე და სხვები).

დიდია აკადემიკოს გიორგი ჭოლოშვილის ღვაწლი ბათუმის უნივერსიტეტის წინაშე. იგი ქართველი ერის საუკეთესო შვილებთან ერთად აქტიურად იბრძოდა ბათუმში უნივერსიტეტის დაარსებისთვის. ბატონი გიორგი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ევგენი ხარაძისადმი გაგზავნილ წერილში, განსაკუთრებით უსვამდა ხაზს მეორე ქართული უნივერსიტეტის ბათუმში დაფუძნების აუცილებლობას და მნიშვნელობას ისტორიული საქართველოსთვის, კერძოდ, ტაო-კლარჯეთის, ლაზეთისა და აჭარისთვის. თვითონ კი საქმით ქმნიდა რეალურ საფუძველს უნივერსიტეტის დაფუძნებისთვის. აკადემიკოს გ. ჭოლოშვილის სამეცნიერო სკოლაში, ივანე ჯავახიშვილის

პოლოგიის და, საერთოდ, მათემატიკის განვითარებაში.

ბათუმის უნივერსიტეტის ისტორიაში განსაკუთრებულ ადგილს იჭერს გამოკვლევები ტოპოლოგიაში. პირველი ტოპოლოგიური კვლევების ბათუმში დაწყება დაკავშირებულია გ. ხუხუნაიშვილისა და გ. კირთაძის სახელებთან.

დოც.გ.ხუხუნაიშვილის მიერ გამოკვლეული იქნა ჰილბერტის სივრცის უწყვეტი ანსახები. მის მიერ მოიძებნა ის აუცილებელი და საკმარისი პირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს მეტრიკული სივრცე, რომ იგი იყოს ჰილბერტის სივრცის უწყვეტი ანსახი.

დოც.გ. კირთაძე იკვლევდა ტოპოლოგიურ სივრცეთა სისრულის სხვადასხვა ნაირსახეობას. მან შეისწავლა ტოპოლოგიურ სივრცეთა ქვესიმრავლეების რეგულარულად და სავსებით რეგულარულად ჩაკეტილობის საკითხები, იპოვა ასახვათა ფართო კლასი, რომელიც ინარჩუნებს ასეთი ტიპის ჩაკეტილობებს.

მნიშვნელოვანი გამოკვლევები შესრულდა აკად. გ.ჭოლოშვილის ერთ-ერთი პირველი მოსწავლის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტის დ. ბალაძის და მისი მოსწავლეების (მ.ბურშტეინი,

წყვილების მიმართაა აღებული.

პროფ. დ. ბალაძის მესამე საინტერესო მონაპოვარია სივრცის ჰომოლოგიისა და კოჰომოლოგიის თეორიები, რომლებიც კომპლექსთა ისეთ თეორიებს ეყრდნობა ლოკალურად სასრულო ქვეკომპლექსთა ჰომოლოგიური აპროქსიმაციით რომ მიიღებინა.

დოც.შ. ბახტაძის მიერ მიღებულია საინტერესო შედეგები პროექციული ჰომოლოგიის თეორიაში. კერძოდ, გამოკვლეულია კომპაქტურ ჰაუსდორფის სივრცეთა წყვილების დანაწილებებზე დაფუძნებული ჰომოლოგიის თეორია-ჭოლოშვილის ჰომოლოგიის თეორია. ამ მიმართულებით მიღებულ საინტერესო შედეგად ითვლება ჰაუსდორფის კომპაქტურ ტოპოლოგიურ სივრცეთა წყვილებთან ასოცირებულ ფუნდამენტურ კომპლექსთა წყვილების აგება და სპეციალური ჰომოლოგიების შემოტანა. მის მიერ დეტალურადაა შესწავლილი ფუნდამენტური კომპლექსის თვისებები ალგებრული ტოპოლოგიისა და ზოგადი ტოპოლოგიის თვალსაზრისით. დამტკიცებულია ამოსავალ სივრცეთა წყვილების ჰომოლოგიებისა და შესაბამის ფუნდამენტურ კომპლექსთა წყვილების სპეციალური ჰომოლოგიების იზომორფიზმობა კოეფიციენტთა ნებისმიერი აბელური ჯგუფის მიმართ; აგებულია უშუალო იზომორფიზმი კომპაქტური მეტრი-



აკად. გ. ჭოლოშვილი ქართველ ალგებრისტთა და ტოპოლოგთა ერთ ჯგუფთან ერთად. პირველი რიგი მარცხნიდან მარჯვნივ: ო.სურგულაძე, ხ.ინასარიძე, ა.მჩინარიშვილი, მ.მიქაიანი, თ.დათუაშვილი, გ.ჭოლოშვილი, ნ.ჯვარამაძე, ნ.ლაზარაშვილი, ნ.გიორგობიანი, ლ.მძინარიშვილი, ნ.ბერიკაშვილი. მეორე რიგი მარცხნიდან მარჯვნივ: დ.სულაქველიძე, გ.ჯანელიძე, თ.ფირაფირი, თ.ბეიტრიშვილი, ზ.თოდუა, ვ.ბალაძე, ვ.ლომაძე, ბ.ფაჩუაშვილი, ლ.ხელაია, ს.ხაჭოშია, მ.კვანჭილაშვილი, მ.ურდია, თ.ქაღვიძიანი, თ.კანდელაკი, რ.ნადირაძე, ა.პაჭკორია, გ.თევზაძე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ალგებრა-გეომეტრიის კათედრაზე და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის ალგებრა-გეომეტრიის განყოფილებაში, აღიზარდა მრავალი ტოპოლოგი ბათუმის უნივერსიტეტისთვის. ბატონი გიორგი, ამავე დროს, მუდმივ ყურადღებასა და მხარდაჭერას იჩენდა სხვა ბათუმელი მათემატიკოსების მიმართაც, რომლებიც მის მიერ სხვადასხვა დროს სასწავლებლად მივლინდნენ იქნენ ჩვენი ქვეყნისა, თუ უცხოეთის სამეცნიერო დაწესებულებებში. საყოველთაო აღიარებით, ბატონ გიორგის მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ბათუმში ტო-

შ.ბახტაძე, ზ.თოდუა, გ.რომანაძე) მიერ ჰომოლოგიის თეორიისა და გრაფთა თეორიაში.

პროფ. დ. ბალაძის უმნიშვნელოვანეს მიღწევას წარმოადგენს კომპლექსპარამეტრის მიმართ ტოპოლოგიურ სივრცეთა ჰომოლოგიების შემოტანა, რაც კოლომგოროვის, ჭოლოშვილის, სტინროდის და სიტნიკოვის ჰომოლოგიების ძალიან შორს წასული განზოგადებაა.

პროფ. დ. ბალაძის მეორე მნიშვნელოვანი მიღწევაა სასრული და უსასრულო ჰომოლოგიებისა და კოჰომოლოგიების მანამდე მკაცრად ერთმანეთისაგან განსხვავებულ თეორიათა განზოგადება ერთ თეორიად, რომელიც კოეფიციენტთა ჯგუფების

კული სივრცის პროექციული ჰომოლოგიის ჯგუფებსა და სტრინროდის ჯგუფებს შორის.

აკად.გ.ჭოლოშვილისა და პროფ. ლ.ზამბახიძის მოსწავლის ვ. ბალაძის მიერ განვითარებულია და გამოკვლეული გეომეტრიული ტოპოლოგია და მისი ალგებრული ფუნქტორები და განზომილებებისაირი ფუნქციები. მისი შრომები გამოქვეყნებულია ამერიკის, გერმანიის, იტალიის, ბულგარეთის, პოლონეთის, უნგრეთის და სერბიის ცნობილ საერთაშორისო მათემატიკურ ჟურნალებში.

პროფ. ვ.ბალაძის და მისი მოსწავლეების (ა.ბერიძე, ლ. თურმანიძე, გ.ივანაძე, მ.ძაძამია, რ. ცინარიძე, ვ.აბუსერიძე) შრომებში



ღვანლმოსილი მეცნიერი და ამაზღარი პედაგოგი



80 წელი შესრულდა ღვანლმოსილი მეცნიერისა და ამაზღარი პედაგოგის ოთარ თურმანიძის დაბადებიდან. მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ახალგაზრდობის აღზრდასა და სწავლებას, მეცნიერებას, ხალხის სამსახურს შეაღწია.

ოთარ თურმანიძე დაიბადა 1934 წლის 15 ნოემბერს ხულოს (ამჟამად შუახევის) რაიონის უჩამბის საკრებულოს სოფელ სამოლეთში. ბავშვობა და ჭაბუკობა მძიმე წლებში გაატარა. მეორე მსოფლიო ომი, ომის შემდგომი აღდგენითი წლები მამინდელი ახალგაზრდობისათვის უძძიმესი აღმოჩნდა. ოთარ თურმანიძისთვის ეს წლები განსაკუთრებით მძიმე იყო, რადგან მამა 1942 წელს გარდაეცვალა და ობლობაში გაატარა ბავშვობა და ჭაბუკობა. დედამ, გაუსაძლის პირობებში, ნათესავების თანადგომით შეძლო სამი შვილის გამოზრდა და ყველა მათგანი ცხოვრებაში სწორ გზაზე დააყენა. უფროსმა ძმამ ზაქრომ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი დაამთავრა და ოჯახისა და სამშობლოს წინაშე ვალდებული წავიდა ამ ქვეყნიდან. უმცროსმა ძმამ ზურაბმა — თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი და წლების განმავლობაში მუშაობდა შუახევის რაიონის, თბილისისა და ბათუმის სამედიცინო დაწესებულებებში.

ოთარ თურმანიძემ 1953 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა უჩამბის საშუალო სკოლა, ხოლო 1957 წელს — ნარჩინებით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (ამჟამად უნივერსიტეტი) ისტორიის ფაკულტეტი. 1957—1960 წლებში მუშაობდა შუახევის რაიონის ნაბლანის რვანლიან და უჩამბის საშუალო სკოლებში ისტორიისა და უცხო ენის (გერმანული) მასწავლებლად. 1960 წელს დაანინაურეს შუახევის რაიონის ცინარეთის რვანლიანი სკოლის დირექტორად, სადაც 1972 წლის ოქტომბრამდე მუშაობდა.

სკოლის დირექტორად მუშაობისას კიდევ მეტად გამოვლინდა ოთარ თურმანიძის, როგორც ახალგაზრდა სპეციალისტის, ორგანიზატორული ნიჭი, საქმისადმი ნოვატორული მიდგომა, ადამიანებთან ურთიერთობის არაჩვეულებრივი უნარი. მისი უშუალო ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა პედაგოგიური კოლექტივი, აშენდა სკოლის ახალი შენობა, შეიქმნა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, თვისებრივად გარდაიქმნა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი. ცინარეთის რვანლიანი სკოლა აჭარაში ერთ-ერთი მოწინავე იყო, რაც არაერთხელ აღინიშნა აჭარის განათლების სამინისტროსა და რაიონის განათლების განყოფილების მიერ ინსპექტირების დროს. ნარმატებული მუშაობისათვის ოთარ თურმანიძემ 1962 წელს დააჯილდოვეს „სახალხო განათლების ნარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით, ხოლო 1970 წელს — მედლით შრომითი მამაცობისათვის. მიღებული აქვს არაერთი ქების სიგელი და შეტანილია მაშინდელი სახელმწიფო ხელისუფლების საპატიო ნიშნებში. საამაჟოა, რომ მის მიერ აღზრდილები არიან ცნობილი მეცნიერები, ექიმები, ინჟინრები, ეკონომისტები, მასწავლებლები და სხვა დარგის სპეციალისტები.

ოთარ თურმანიძის შინაგანი ბუნებრივი მონოდება მეცნიერება იყო. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს გამოვლინდა ოთარ

თურმანიძის მეცნიერული კვლევა — ძიების უნარი. იგი სისტემატურად გამოდიოდა მოხსენებით სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებზე, რამაც მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა მის მომავალ მეცნიერულ მუშაობას. სკოლაში მუშაობის დროს ეს ინტერესი არ განელებულა. პროფესორის იური სიხარულიძის რჩევით დაწერა რეფერატი „შერიფ ხიმშიაშვილი“, რომელიც დადებითად შეაფასეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში და მის ავტორს საკანდიდატო მინიშუმის ჩაბარების უფლება მიეცა.

სკოლაში მუშაობის პარალელურად ოთარ თურმანიძემ წარმატებით ჩააბარა საკანდიდატო მინიშუმი, დაწერა სადისერტაციო ნაშრომი „კაპიტალიზმის განვითარება აჭარის სოფლის მეურნეობაში (1878—1920 წწ.)“. შრომა მაღალ დონეზე შეაფასეს და მის ავტორს 1972 წელს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მიანიჭეს.

ოთარ თურმანიძემ 1972 წელს საცხოვრებლად გადმოვიდა ქ. ბათუმში და მუშაობა დაიწყო შოთა რუსთაველის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, სადაც მიჰყავდა სალექციო კურსები ისეთ საგნებში რგორიცაა „საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები“ და „საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა“. 1991 წლიდან, როდესაც საქართველომ სახელმ-

ტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. 1990 წელს აირჩიეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბათუმის ფაკულტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის პროფესორის თანამდებობაზე, ხოლო 1991 წელს მიანიჭეს პროფესორის სამეცნიერო წოდება. ოთარ თურმანიძის, როგორც მეცნიერის ჩამოყალიბებაში, განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის სამეცნიერო ხელმძღვანელ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს პროფესორ ავთანდილ იოსელიანს, აკადემიკოს იური კაჭარავას, პროფესორებს ალექსანდრე ბენდიანიშვილს, გრიგოლ ბრეგაძეს, გრიგოლ მარგიანსა და იური სიხარულიძეს.

პროფესორი ოთარ თურმანიძე 1990—2006 წლებში ხელმძღვანელობდა ბათუმის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრას, 1993—2009 წლებში პარალელურად იყო სამედიცინო-ეკოლოგიური ინსტიტუტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კათედრის გამგე და ასწავლიდა საქართველოს ისტორიას. ბათუმის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ოთარ თურმანიძის ხელმძღვანელობით შეიქმნა საბაკალავრო და სამაგისტრო დონის ახალი სპეციალობები: სახელმწიფო მართვის თეორია და პრაქტიკა, საერთაშორისო და რეგიონული კონფლიქტები, მთარგმნელ-რეფერენტი. მისი უშუალო მეცადინეობით კათედრა უზრუნველყო-

ბული წყობის დროს. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა რეჟიმი ჩანასახშივე ახშობდა კომუნისტური იდეოლოგიისაგან განსხვავებულ შეხედულებას. ცხადია, საბჭოთა წყობილების დროს გამოცემული ნაშრომებისათვის შესაძენვეთა კონიუქტურის გავლენა. ამის მიუხედავად, ბატონმა ოთარმა შეძლო საკვლევი საკითხების ორიგინალური მეცნიერული ანალიზი, განავითარა გაბედული დებულებები, გამოიჩინა პრობლემებისადმი ახლებური მიდგომა.

პროფესორი ოთარ თურმანიძეს დღემდე გამოქვეყნებული აქვს 150 ნაშრომი, მათ შორის 9 მონოგრაფია და ათეულობით საგაზეთო სტატია. მისი მეცნიერული კვლევის ინტერესებში შედის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურის ისტორია. ოთარ თურმანიძის შრომების მეშვეობით სამეცნიერო სფეროში შემოვიდა ახალი, მანამდე უცნობი საარქივო წყაროები, არაერთი დოკუმენტური მასალა. ისინი ხანგრძლივი მუშაობის შედეგად გამოვლენილია მოსკოვის, სანქტ-პეტერბურგის (ლენინგრადის), თბილისის, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ არქივებში, მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში მუშაობის დროს. იგი აჭარის სახელმწიფო ცენტრალური სახელმწიფო არქივის მუდმივმოქმედი მკვლევარია. შემთხვევით არ არის, რომ ხსენებული არქივის თანამშრომლები ოთარ თურმანიძეს შტატგარეშე მუშაკად თვლიან და დიდი პატივისცემით უწევენ მომსახურებას.

პროფესორი ოთარ თურმანიძის ნიგნების შესახებ გამოქვეყნებულ რეცენზიებში (პროფესორები პ. ცქვიტარია, ა. სონღულაშვილი, ო. გოგოლიშვილი, დოცენტები ს. ქუთათელაძე, დ. დიასამიძე და სხვები) ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ავტორი ავლენს ნოვატორულ მიდგომას შესასწავლი თემის მიმართ, კარგად ფლობს ისტორიის მონათესავე დისციპლინებს. ეს გარემოება განპირობებულია იმით, რომ ოთარ თურმანიძე წლების განმავლობაში უმაღლეს სკოლაში ასწავლიდა ისტორიის ისეთ მიმდევარ დისციპლინებს, როგორც არის თეორიული ეკონომიკა, პოლიტოლოგია, კონფლიქტოლოგია, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, სახელმწიფო და კომუნალური მართვის თეორია, კადრების მენეჯმენტი და სხვა.

პროფესორი ოთარ თურმანიძის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის მონოგრაფიები და სტატიები. მან ფაქტობრივად საფუძველი ჩაუყარა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის კვლევის მიმართულებას. საბჭოთა ხელი-სუფლების დროს გამოქვეყნებულ ნაშრომებში, კონიუქტურის გავლენის მიუხედავად, სიღრმისეულია შესწავლილი აჭარის სოფლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 1878—1920 წლებში: სავაჭრო მინამოქმედების განვითარება, გლეხთა მდგომარეობა და სოციალური მოძრაობა. ეს შრომები დღესაც ინარჩუნებენ თავის მნიშვნელობას.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის მეცნიერულ შესწავლაში განსაკუთრებით საყურადღებოა ის მონოგრაფიები და სტატიები, რომლებიც ოთარ თურმანიძემ გამოაქვეყნა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ. 2001 წელს ოთარ თურმანიძემ გამოსცა ნივანი „საადგილმამული ურთიერთობანი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ოსმალთა ბატონობის ხანაში“. ქართულ და რუსულ ენებზე გამოქვეყნებული ოსმალური დოკუმენტების გულდასმით გაანალიზების შედეგად ნაშრომში შესწავლილია მინისმფლობელობა — მინათსარგებლობის ოსმალური ფორმები, დადგენილია მინის მესაკუთრეთა კატეგორიები, დახასიათებულია



ნიფოებრივი დამოუკიდებლობა აღადგინა, მიჰყავდა საქართველოს ისტორიის სალექციო კურსი. 1972 წლიდან პარალელურად მუშაობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბათუმისა და ფოთის ფაკულტეტებზე.

1974 წელს ოთარ თურმანიძემ დანიშნეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის უფროს მასწავლებლად, 1975 წელს აირჩიეს დოცენტის თანამდებობაზე, ხოლო 1977 წელს მიანიჭეს დოცენტის წოდება. იგი წლების განმავლობაში საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს პოლიტიკურ დისციპლინებში, საქართველოს ისტორიაში. მისი ლექციები ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალ აკადემიურობით, სტუდენტებისათვის მისაწვდომი, არგუმენტირებული და ადვილად გასაგები ენით.

ოთარ თურმანიძემ ხანგრძლივი მუშაობის შედეგად დაწერა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა ომის შემდგომ პერიოდში (1945—1965 წწ.)“, რომელიც წარმატებით დაიცვა 1988 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სპეციალიზებული სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე. ამ ნაშრომისათვის მას ერთხმად მიანიჭეს ის-

ფილი იყო ამ სპეციალობათა კვალიფიციური კადრებით. ოთარ თურმანიძის ხელმძღვანელობით რამდენიმე მაგისტრანტმა დაიცვა სამაგისტრო ხარისხი.

ბათუმის პოლიტექნიკური ინსტიტუტის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ინტეგრირების შემდეგ, ოთარ თურმანიძეს მიჰყავდა სალექციო კურსები „სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის თეორია“, „კადრების მენეჯმენტი“ და „საქართველოს ისტორია“. მან პედაგოგიური მუშაობის დიდი გამოცდილება დააგროვა, რომელთა განზოგადება დიდად წაადგებოდა ახალგაზრდობის სწავლებისა და აღზრდის საქმეს.

პროფესორი ოთარ თურმანიძემ 1994 წელს სამუშაოდ მიიწვიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტში, რაც განპირობებული იყო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევების ოთხტომეულის მომზადების მუშაობასთან. ამჟამად პროფესორი ოთარ თურმანიძე ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელია.

დიდა პროფესორი ოთარ თურმანიძის დამსახურება მეცნიერებაში. ბატონი ოთარს, როგორც მის თანატოლებს, მუშაობა მოუხდა ორი თვისებრივად განსხვავე-



ქალბატონი ირინა გოშხეთელიანი იუბილარია



თად, სისტემატურად მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებში საქართველოსა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში. იგი მუდმივად იმალეებს თავის პროფესიულ დონეს და მონაწილეობს მნიშვნელოვანი საგრანტო პროექტების შესრულებაში.

პროფესორი ირინე გოშხეთელიანი წლების მანძილზე იყო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი, ამჟამად არის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და სადისერტაციო საბჭოების წევრი, ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, კურიკულუმის კომიტეტის წევრი, სამეცნიერო ნაშრომების რეცენზენტი და სარედაქციო საბჭოების წევრი. ის გახლავთ მრავალი საერთაშორისო, რესპუბლიკური და საუნივერსიტეტო კონფერენციის სამეცნიერო და საორგანიზაციო საბჭოს წევრი, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი. მისი უშუალო ხელმძღვანელობით, წარმატებით დაიცვა სადოქტორო ნაშრომი არაერთმა დოქტორანტმა.

ქ-ნი ირინეს გააჩნია უნარი ფეხი აუწყოს თანამედროვე მოთხოვნებსა და გამოწვევებს. იგი განონასწორებული, პრინციპული და ამავდროს სამართლიანი ხელმძღვანელი და პედაგოგია.

საუკეთესო პროფესიული კომპეტენციებისა გარდა, ქალბატონ ირინეს გააჩნია სამაგალითო პიროვნული თვისებებიც; ის გახლავთ შესანიშნავი მეუღლე და დედა, მზრუნველი შვილი და ერთგული მეგობარი, გულისხმიერია კოლეგებისა და სტუდენტების მიმართ.

დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ვულოცავთ ქალბატონ ირინეს იუბილეს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, უღებ სიხარულსა და წარმატებულ პროფესიულ მოღვაწეობას.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელი

არიან ადამიანები, რომელთა ღვაწლი უკვალოდ არ ჩაივლის. სტუდენტთა მრავალი თაობა სიამაყით იტყვის, რომ ისინი ქალბატონ ირინე გოშხეთელიანის აღზრდილები არიან და თუკი რამ ცოდნა შეუძენიათ, სწორედ მათი პედაგოგის დამსახურებაა. წლების მანძილზე, პროფესორი ირინე ხელმძღვანელობდა უცხო ენათა, ხოლო შემდგომში ევროპეისტიკის დეპარტამენტს, რომელსაც წარმატებულად უძღვებდა დღემდე.

ირინე გოშხეთელიანი დაიბადა ქ. ქუთაისში 1954 წლის 17 ნოემბერს. მისი ოჯახი ქუთაისის ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელი გახლდათ. მამა—ივანე გოშხეთელიანი — ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი იყო, დედა — ეკონომისტი. ქალბატონ ირინეს ძმა, თემურ გოშხეთელიანი, ქუთაისში ცნობილი ექიმი.

ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ინგლისური ფილოლოგიის სპეციალობის სრული კურსის დამთავრების შემდეგ, 1987 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია და მოიპოვა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. პროფესორი ირინე გოშხეთელიანი არის მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა და სალექციო კურსის ავტორი. ის, კოლეგებთან ერ-

„ერასმუს მუნდუსის“ გაცვლითი პროგრამების წარღვივა

ევროკავშირის გაცვლითი საგრანტო პროგრამის „ერასმუს მუნდუსის“ პროექტების პრეზენტაცია ჩატარდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგარეო ურთიერთობათა სამსახურის უფროსმა, პროგრამა EUROEAST-ის კოორდინატორმა ნანა ყურაშვილმა სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს 15 გაცვლითი პროგრამა წარუდგინა და კონკურსში მონაწილეობის პირობები გააცნო. უცხოეთში სწავლის შესაძლებლობა ეძლევა ყველა საფეხურის სტუდენტს, აკადემიურ პერსონალსა და მკვლევარს. დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ ბსუ-ს საგარეო ურთიერთობათა სამსახურის ვებგვერდზე.



ოსმალური საგადასახადო სისტემა და გადასახადების სახეები, ნაწევნები ეროვნულ—განმათავისუფლებელი და სოციალურ—ეკონომიკური მოძრაობის მასშტაბი და ბრძოლის ფორმები.

პროფესორმა ოთარ თურმანიძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სამხრეთ—დასავლეთ საქართველოს 1878—1928 წლების საადგილმამულო ურთიერთობის, აგრარული მოძრაობისა და სოფლის მეურნეობის ისტორიის შესწავლაში. ამ თემას ბატონმა ოთარმა არაერთი ნაშრომი, მათ შორის ორი სქელტანიანი მონოგრაფია მიუძღვნა. ამ ნაშრომებში ახალი ხედვითაა გაშუქებული ცარიზმის აგრარული პოლიტიკის თავისებურებანი სამხრეთ—დასავლეთ საქართველოში, რუსული კოლონიური ახალშენები, მინათმფლობელობა—მინათსარგებლობის ფორმები, რუსეთის საგადასახადო სისტემა და გადასახადების სახეები, აგრარული მოძრაობა. შესწავლილია სამხრეთ—დასავლეთ საქართველოს ბუნებრივი და შრომითი რესურსები, განსაზღვრულია სასოფლო—სამეურნეო ზონები, სამინათმოქმედო იარაღები, სასოფლო—სამეურნეო ნარმოების ხალხური წესები, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების გავრცელების მასშტაბები, განხილულია სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგები, წარმოების კაპიტალისტური სექტორის თავისებურებანი.

ბატონი ოთარი საქართველოს უახლესი ისტორიის თვალსაჩინო მკვლევარია. მან ახალი ხედვით ფუნდამენტურად შეისწავლა 1921—1940 და 1946—1990 წლების აჭარის სოციალურ—ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორია. მაღალ მეცნიერულ დონეზე დაახასიათა ეკონომიკური რეფორმები აჭარაში, წარმოების ძირითადი დარგები 1921—1940 წლებში. საბჭოთა ისტორიოგრაფიისაგან განსხვავებით მან მოგვცა ამ პროცესების ახლებური შეფასება. პროფესორ ოთარ თურმანიძის სამართლიანი შეფასებით ამ რეფორმებმა ქვეყანა, კერძოდ, აჭარა ააცდინა ბუნებრივი განვითარების გზას, განაპირობა სახელმწიფოებრივი მართვის მბრძანებლურ—ადმინისტრაციული მეთოდების დანერგვა, შემზადდა მასობრივი რეპრესიების პოლიტიკური და იდეოლოგიური საფუძვლები. მდიდარი საარქივო და სტატისტიკურ მასალებზე დაყრდნობით მის მიერ შესწავლილია ომისშემდგომი პერიოდის (1946—1990) სოციალურ—ეკონომიკური ისტორიის ისეთი საკვანძო საკითხები, როგორცაა მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, სამეცნიერო—ტექნიკური პროგრესი, ინდუსტრიული კადრების ტექნიკური შემოქმედება. მონოგრაფიაში დახასიათებულია აჭარის დემოგრაფიული ვითარება, სოციალური ურთიერთობები, შესწავლილია მოსახლეობის ცხოვრების პირობები და სხვა საკითხები.

პროფესორ ოთარ თურმანიძის მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიებიდან, რომლებიც სოციალურ—ეკონომიკურ თემას ეხება, აღსანიშნავია ბათუმის მუნიციპალური მეურნეობა, რომელშიც შესწავლილია ქალაქის წყალმომარაგება 1878—2000 წლებში. არანაკლებ საინტერესოა პუბლიკაციები ბათუმის გემთსაშენი, ელექტრომექანიკური და ტრანსფორმატორების ქარხნების ისტორიის შესახებ. მართალია, აღნიშნული საწარმოები ამჟამად ისტორიული კუთვნილებია, მაგრამ მათი შემეცნებითი და პრაქტიკულ—საგანმანათლებლო მნიშვნელობა ყოველთვის აქტუალური იქნება.

ბატონი ოთარი წარმატებით იკვლევს აჭარის პოლიტიკური და კულტურის ისტორიის საკითხებს. მან განავითარა ორიგინალური შეხედულება აჭარის ავტონომიის შექმნის მართლზომიერებისა და სამართლებრივი

სტატუსის შესახებ, რითაც სიცხადე შეიტანა დღემდე საკამათო პრობლემის კვლევაში. მის შრომებში დახასიათებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიტიკური სისტემა, გაშუქებულია მასობრივი რეპრესიები და სხვა აქტუალური საკითხები. მასობრივი პოლიტიკური რეპრესიების შესახებ 1997 წლიდან მუშაობს და დღემდე 4 სამეცნიერო ნაშრომი და ათობით საგაზეთო სტატია გამოაქვეყნა.

გაზეთი „აჭარა“ 2014 წლის აგვისტოდან პერიოდულად აქვეყნებს ოთარ თურმანიძის წერილებს 1937-1938 წლებში პოლიტიკურ რეპრესირებულთა შესახებ, რომელსაც მკითხველი საზოგადოება დიდი ინტერესით ხვდება.

მნიშვნელოვანია პროფესორ ოთარ თურმანიძის წვლილი სამხრეთ—დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევების ოთხტომეულის შექმნაში. იგი არის ოთხტომეულის მესამე და მეოთხე ტომების ერთ-ერთი ნაწყვანი ავტორი. აღსანიშნავია, რომ ოთარ თურმანიძის რედაქტორობით 2012 წელს გამოვიდა სამხრეთ—დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევების მეოთხე ტომი, რომელიც ქრონოლოგიურად 1921—1990 წლებს მოიცავს.

პროფესორი ოთარ თურმანიძე არის აგრეთვე არაერთი ნაშრომის რეცენზენტი და რედაქტორი, სარედაქციო კოლეგიისა და სარედაქციო—სამომცემლო საბჭოს წევრი.

პროფესორი ოთარ თურმანიძე ოჯახსაც არ აკლებს მზრუნველობას. მას ჰყავს 3 შვილი, 6 შვილიშვილი, 2 შვილთაშვილი. მეუღლე, პროფესორი პედაგოგი, წლების განმავლობაში სკოლაში ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას, ამჟამად დამსახურებულ პენსიაზეა. ქალიშვილი ნინო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტული ფაკულტეტი დაამთავრა და ამჟამად ბათუმში აფთიაქის დირექტორად მუშაობს. მომდევნო ვაჟმა მერაბმა სანქტ—პეტერბურგში მიიღო საინჟინრო განათლება და შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში საპასუხისმგებლო თანამდებობაზეა. უმცროსი ვაჟი თემური, ტექნიკის აკადემიური დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორია.

პროფესორი ოთარ თურმანიძე, ასაკის მიუხედავად, კვლავაც მუხლჩაუხრელი მუშაობს. გამოსაცემად მომზადებული აქვს ახალი წიგნები „საბჭოთა პოლიტიკური რეჟიმი და მასობრივი რეპრესიები აჭარაში (1921-1951)“ და „მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავებითი მრეწველობის განვითარება აჭარაში (1921-2000)“.

ვულოცავთ ბატონ ოთარს დაბადების 80 წლისთავს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, კვლავაც მუხლჩაუხრელი ეშრომოს სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ალიოზა ზაპურიძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი

როინ მაღაყვამაძე
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორი, ისტორიის აკადემიური დოქტორი

ნოდარ კახიძე
ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ზიჟიკო დიასამიძე
ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების უფროსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი



ნარინჯისფერი რთველი აჭარაში

აჭარის რეგიონისათვის მეციტრუსეობა იყო და კვლავაც რჩება სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ ნამყვან დარგად. რეგიონის ციტრუსების ფართობის 6000 ჰა-ზე ამაჟამად დასაქმებულია 22800-ზე მეტი ფერმერი, ამიტომაც მისი შემდგომი განვითარება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტული სფეროა, მითუმეტეს მაშინ, როცა მეციტრუსეობა აჭარის ძირითად სასოფლო-სამეურნეო საქესპორტო პროდუქტად რჩება და მისი თანამედროვე მსოფლიოს ახალ სტანდარტებთან შესაბამისად წარმოებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

მიმდინარე წლის ციტრუსების სეზონზე რეგიონში საპროგნოზო მონაცემებით მოსალოდნელია 73 000 ტონამდე ციტრუსის წარმოება, ამათგან: მანდარინის 67 000 ტონამდე, ფორთოხლის 4500 ტონამდე და ლიმონის 1500 ტონამდე. ციტრუსებისთვის დამახასიათებელი მენსეობის მიუხედავად, მიმდინარე წელს მოსალოდნელი მოსავალი საკმაოდ დიდია, რაც განპირობებულია იმით, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო ბოლო წლებში მაქსიმალურად (ცდილობს ადგილობრივი ციტრუსის წარმოების პროდუქტიულობისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას თანამედროვე აგრო ტექნოლოგიების დანერგვისა და მეციტრუსეობის სექტორში დასაქმებული ფერმერების ცოდნის გაფართოების გზით. სამინისტრომ დაიწყო დარგში არსებული პრობლემების შესახებ სიღრმისეული კვლევები, რისი დასტურიცაა 2013 წელს განხორციელებული ქვეპროგრამა „ნიადაგების კვლევა და ფერმერებზე შესაბამისი რეკომენდაციების განვითარება“, რომლის ფარგლებშიც რეგიონის მასშტაბით აღებული და გამოკვლეული იქნა 5500 ნიადაგის ნიმუში, კვლევებმა ცხადყო რომ, მეციტრუსეობის ზონის ნიადაგები 65—70% ლარიბია შესათვისებელი ფოსფორითა და გაცვლითი კალიუმით, ასევე ნიადაგების 70—80% მომატებულ მჟავიანია რაც წარმოუდგენლად აფერხებს ციტრუსების წარმოებას, სწორედ აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად სამინისტროს მიერ 2014 წელს დაიგეგმა ქვეპროგრამა „ფერმერთა ნაკვეთებზე ქიმიური მელიორაციის ღონისძიებების გამოყენება“.



დეფეკატის დარიგების პროცესი აჭარის მეციტრუსეობის სოფლებში

მაქსიმალურად ახორციელებდა ფერმერთა ინფორმირებულობის ხელშეწყობას ყოველი მოახლოებული წამლობითი ღონისძიებების დროული და ეფექტურად განხორციელების აუცილებლობის თაობაზე. ასევე, წელს პირველად სახელმწიფო პროგრამით ამოქმედდა აგრო დაზღვევის პროგრამა, რომელშიც 10 000 — მდე მეციტრუსე ჩაერთო. პროგრამა ითვალისწინებს მოსავლის დაზღვევას, სახელმწიფოს ფინანსური თანამო-

ლო ორი წლის განმავლობაში შეიქმნა 30—ზე მეტი ციტრუსის დამხარისხებელი—შემფუთავი საწარმო, ამათგან სამი: შპს „აქტივების მართვის ქართულ ინდუსტრიული ჯგუფი“, სს „ქართული ჩაი“ და შპს „TCF GEORGIA“ ორიენტირებულია ასევე ციტრუსის არასტანდარტული ნაყოფის გადამამუშავებაზე. არასტანდარტული ნაყოფის სუბსიდირება მოხდება 10 თეთრით ყოველ ერთ კილოგრამ ნაყოფზე, ხოლო საბოლოოდ,

დინარეობს, რაც პროდუქტის შენახვის ხანგრძლივობას უწყობს ხელს. საქესპორტე ციტრუსის დაფასოება ხდება ევროსტანდარტის მიხედვით, პალეტებად შეკრულ 14 კგ-იან ხის ანათალის, პლასტიკისა და გოფირებულ ყუთებში, რომელიც საერთაშორისო ბაზრებზე კონკურენტუნარიანს გახდის ქართულ პროდუქციას. ციტრუსის სეზონისათვის მოსამზადებელი სამუშაოების პარალელურად, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელები საბაჟო ტარიფების ოპტიმიზაციის მიზნით, ვიზიტით იმყოფებოდნენ უკრაინის, სომხეთის, აზერბაიჯანისა და ბელარუსიის რესპუბლიკებში.

ციტრუსის ექსპორტისა და საკონსერვო გადამამუშავების საკითხებს კონტროლს გაუწევს საკოორდინაციო შტაბი, რომელიც შეიქმნა მიმდინარე წლის ციტრუსების სეზონის წარმატებით განხორციელებისათვის, სადაც ციტრუსის ექსპორტირებით დაინტერესებულ პირს შეუძლია მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია ციტრუსის გადაზიდვებთან დაკავშირებით. ასევე არასტანდარტული ციტრუსის გადამამუშავებელ საწარმოებში, დაინერგება ელექტრონული კონტროლის საშუალებები, რაშიც სამინისტროს თანამშრომლებთან ერთად უშუალოდ ჩართულები იქნებიან შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, რაც შეამცირებს რიგებს. ზემოთ აღნიშნული ღონისძიებები საშუალებას მოგვცემს განვახორციელოთ ეფექტური, კოორდინირებული მუშაობა და ჩავატაროთ წარმატებული ნარინჯისფერი რთველი.

როინ ბოზიძე
აჭარის სოფლის მეურნეობის
მინისტრის თანაშემწე
საზოგადოებასთან
ურთიერთობის საკითხებში

როგრამა „ნიადაგების კვლევა და ფერმერებზე შესაბამისი რეკომენდაციების განვითარება“, რომლის ფარგლებშიც რეგიონის მასშტაბით აღებული და გამოკვლეული იქნა 5500 ნიადაგის ნიმუში, კვლევებმა ცხადყო რომ, მეციტრუსეობის ზონის ნიადაგები 65—70% ლარიბია შესათვისებელი ფოსფორითა და გაცვლითი კალიუმით, ასევე ნიადაგების 70—80% მომატებულ მჟავიანია რაც წარმოუდგენლად აფერხებს ციტრუსების წარმოებას, სწორედ აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად სამინისტროს მიერ 2014 წელს დაიგეგმა ქვეპროგრამა „ფერმერთა ნაკვეთებზე ქიმიური მელიორაციის ღონისძიებების გამოყენება“.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებშიც მეციტრუსე ფერმერებისთვის შემოტანილი და გადაცემულია 8000 ტონა დეფეკატი (შაქრის ქარხნის ნარჩენი). ის ერთ-ერთი საუფროსო მელიორანტია მჟავა და ბიცობი ნიადაგების ქიმიური მელიორაციისათვის, რომელიც ერთხელ გამოყენების შემთხვევაში გარანტირებულად იცავს ნიადაგს მომდევნო 7—8 წლის განმავლობაში მომატებული მჟავიანობისაგან. ფერმერებმა მიმდინარე წელს ასევე ისარგებლეს სასოფლო-სამეურნეო ბარათებით, რომელიც მნიშვნელოვანი ფაქტორია ციტრუსის წამლობითი ღონისძიებების განხორციელების საქმეში. ამის პარალელურად სამინისტრო თავისი საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების ჩართულობით

ნაწილობა კი თითქმის 95%—ს უტოლდება, ციტრუსის მოსავლის გარემოს ფაქტორების მიერ (თოვლი, სეტყვა) მიყენებული ზიანის შემთხვევაში, გლეხი ყოველ დაზიანებულ კილოგრამ ნაყოფში მიიღებს 48 თეთრს.

იმისათვის, რომ მიმდინარე და ყოველი მომდევნო ნარინჯისფერი რთველი წარმატებული იყოს რეგიონისათვის ციტრუსის როგორც ხარისხობრივი, ასევე რაოდენობრივი მაჩვენებლების ზრდასთან ერთად, მნიშვნელოვანია ციტრუსოვანთა მოსავლის რეალზაციის მაღალ დონეზე ორგანიზება. რეგიონში ბოლო რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში თვალშისაცემი იყო ტარა—მასალის, შესაფუთი საშუალებების და დაფასოება—დახარისხების პრობლემა, სწორედ ამიტომ ჯერ კიდევ გასული წლიდან მოყოლებული აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დაიწყო ამ პრობლემის გადასაჭრელად ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, რამაც საბოლოო ჯამში სასურველ შედეგებამდე უნდა მიგვიყვანოს, რადგანაც საქესპორტოდ მაღალხარისხიანი და კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებისათვის, ციტრუსის გადამამუშავებელი და ტარის მწარმოებელი ახალი საწარმოების ამოქმედებით შესაძლებელი გახდა ევროპული სტანდარტების შესაბამისად შეფუთული პროდუქციის წარმოება. სამინისტროს ინიციატივითა და კერძო სექტორის აქტიურობის ხარჯზე რეგიონში ბო-

ფერმერი თითოეულ კილოგრამ ნაყოფზე სახელმწიფოსა და საწარმოს მიერ ერთობლივად მიიღებს 20 თეთრს.

ასევე ინერგება ციტრუსის შეფუთვა-დახარისხების უახლესი ტექნოლოგიები, ასე მაგალითად შპს „TCF GEORGIA“—ს საწარმო სტანდარტულ და არასტანდარტული მანდარინის მიღებასა და გადამამუშავებასთან ერთად, ახორციელებს ციტრუსის დაკალიბრებას და შეფუთვას. მანდარინის დაკალიბრების პარალელურად, მისი პარაფირება მიმ-

სტუდენტთა საერთაშორისო დღე

სტუდენტთა საერთაშორისო დღე 1939 წლის 17 ნოემბრიდან აღინიშნება. მაშინ, როცა სტუდენტები აქტიური სტუდენტის ჯონ ოპლეტის მკვლელობას აპროტესტებდნენ, ნაცისტებმა შტური განახორციელეს პრალას უნივერსიტეტზე. ჩეხოსლოვაკიის ოკუპირება, ლიდერი სტუდენტების დაკავება, რამდენიმე კოლეჯისა და უნივერსიტეტის დახურვა — ეს დღის შედეგად იქცა.

1939 წელს ჩეხოსლოვაკიაში მცხოვრებმა ნაცისტებმა დაარბიეს პრალის ჩარლზის სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ ორგანიზებული დემონსტრაცია. დემონსტრაცია გაიმართა 28 ოქტომბერს ჩეხოსლოვაკიის დამოუკიდებლობის აღსანიშნავად. სწორედ ეს დემონსტრაცია გახდა 11 ნოემბერს ოპლეტის სიკვდილის მიზეზი. მის დაკრძალვას ათასობით სტუდენტი ესწრებოდა, რაც კიდევ ერთი აქტიური ანტინაცისტური გამოძახება იყო. ამის შემდეგ 1200 სტუდენტი გააგზავნეს საკონცენტრაციო ბანაკში, ამ მსვლელობების პიკი იყო 10 სტუდენტისა და პროფესორის სასამართლოს ჩატარების გარეშე სიკვდილით დასჯა.

სწორედ, ამიტომ 1941 წელს 17 ნოემბერი დასახელდა სტუდენტთა საერთაშორისო დღედ.

